საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/136 “ 12 ” დეკემბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ტ. ტაბატაძისათვის მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ტარიელ ტაბატაძეს უფლებამოსილების ვადა ეწურება 2022 წლის 12 დეკემბერს. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ 2022 წლის 9 დეკემბერს №3797-ო წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომ საბჭომ იმსჯელოს მოსამართლე ტარიელ ტაბატაძისათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების თაობაზე. გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლე ტ. ტაბატაძე მონაწილეობას იღებს მიმდინარე (2022 წლის ნოემბრის) მოსამართლეთა შესარჩევ კონკურსში და კონკურსის საფუძველზე ახალი ვადით გამწესების შემთხვევაში მოსამართლეს ექნება შესაძლებლობა დაასრულოს მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვა, რომელთა ამ ეტაპზე უფლებამოსილების შეტყვეტის პირობებში, სხვა მოსამართლისათვის გადაცემა მნიშვნელოვნად შეაფერხებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ტარიელ ტაბატაძეს 2022 წლის 13 დეკემბრიდან გაუგრძელდეს მოსამართლის უფლებამოსილების ვადა მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებების გამოტანამდე, მაგრამ არაუმეტეს 2023 წლის 13 მარტისა.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე